112-ის ღროით...

№24,
აგვისტო, 2015

მადლობის სიგელები 112-ის ოპერატორებს
(გვ.4)

თქვენი სიცოცხლის დამცველი
რობოტი-მაშველი (გვ.6-7)

მადლობის სიგელები
(გვ.5)

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი,
მარიამ ჯმუხაძე, ჰენრიეტა ელიაური, მარიამ კიკნაძე,
მაია ჩიქოვანი

დიზაინი თეა კუპრაძე

მადლობის სიგელები 112-ის ოპერატორებს — გვ.4-5

ოპერატორთა ბლოგი — გვ.6

თქვენი სიცოცხლის დამცველი რობოტი-მაშველი — გვ.7

მეხანძრე და ოფიციანტი — გვ.8-9

პატარა გმირები — გვ.10-11

პანიკა რადიოსპექტაკლის გამო — გვ.12

ხელის ორიგინალურმა თხოვნამ ქალაქში პანიკა გამოიწვია — გვ.13

რეალითი შოუმ პანიკა გამოიწვია — გვ.14

CULTURE CLUB-ის მომღერალმა 911-ზე დარეკა — გვ.15

პენსილვანიელმა კაცმა 911-ში კონდიციონერის შეკეთებასთან დაკავშირებით დარეკა — გვ.16

მამამ ტატუ გაიკეთა, რათა მის სმენადაქვეითებულ გოგონას თავი განსხვავებულად არ ეგრძნო — გვ.17

ბრაზილიური სატელეფონო ჯიხურები „Orelhão" — გვ.18

წინასწარმეტყველი ცხოველები — გვ.19-21

მადლობის სიგელები 112-ის ოპერატორებს

112-ის ოპერატიული მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა ოთარ ტატალაშვილმა თანამშრომლებს „მადლობის სიგელები“ გადასცა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურების დროს სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის 112-ის თანამშრომლები „მადლობის სიგელებით“ დაჯილდოვდნენ. კერძოდ, მინისტრის მადლობა 112-ის იმ ოპერატორებმა დაიმსახურეს, რომლებმაც სტიქიის პერიოდში უპრეცედენტო რაოდენობის ზარებს უპასუხეს.

საქართველოს ქალთა საბჭოს ინიციატივით შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112"-ს გადაეცა მადლობის სიგელი, 13 ივნისის სტიქიის პერიოდში ოპერატიული მუშაობისთვის.

სტაჟიორი

26 აპრილი, 2006 წელი

ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ჩემთვის სტაჟიორი მოებარებინათ, რათა მისთვის მეჩვენებინა ზარის მიღებისა და მართვის პროცესი თავისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებით. მათი გადაწყვეტილების შესახებ პირველად სტაჟიორის მოსვლამდე დაახლოებით ათიოდე წუთით ადრე შევიტყვე, როდესაც ხელმძღვანელმა დარბაზში რამდენიმე სტაჟიორი შემოიყვანა, -„ეს ადამიანი თქვენი ტრენერი იქნება“ - ჩემზე მიუთითა და ოთახიდან გავიდა. იმის საშუალებაც არ მომეცა, რომ მეკითხა, თუ რა ტრენინგზე იყო საუბარი.

ჩემს სტაჟიორს ანჟელა ერქვა, ის რამდენიმე წლით უფროსი იყო ჩემზე. 911-ში მოსვლამდე დამხმარე მედდად მუშაობდა და თავის საქმის პროფესიონალი იყო. ჩვენს საქმესაც უკვე კარგად იცნობდა, იყო მშვიდი, დამაჯერებელი ტონით საუბრობდა. სხვა რჩევებთან ერთად ანჟელას ისიც ვუთხარი, რომ ზარის მიღების სწავლა შეუძლებელია, რომ სამუშაო პროცესის დაკვირვებით მიიღებს მხოლოდ გამოცდილებას და მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ სწორედ ასეცაა.

ანჟელასთვის საქმის ეტაპობრივად გაცნობა ვერც მოვასწარი, პირველივე დღეს შემოვიდა ზარი გულის შეტევის შესახებ, ხანდაზმული მამაკაცი გახლდათ ცუდად და სამწუხაროდ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ასეთი შემთხვევა ჩემთვის უკვე მეხუთე გახლდათ, მისთვის კი ეს ასეთი შინაარსის პირველი ზარი იყო. მოგვიანებით, ანჟელას ვკითხე, სურდა თუ არა შეესვენა, მან ხომ ამხელა სტრესი მიიღო და ადამიანის სიკვდილის შემსწრე გახდა. მან უარი მითხრა და აღნიშნა, რომ ეს მისთვის ჩვეული ამბავია. როცა მედდად მუშაობდა, მის თვალწინ ხშირად იღუპებოდნენ პაციენტები და ასეთ სიტუაციაში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში...

ასეთი პასუხი მივიღე ჩემი სტაჟიორისგან.



თქვენი სიცოცხლის დამცველი რობოტი-მაშველი

ეს არის ირანული, უპილოტო რობოტი-მაშველი, რომელიც იცავს შენს სიცოცხლეს. შესაძლოა მომავალში მაშველები ამ ოთხძრავიანმა რობოტებმა ჩაანაცვლონ, ოღონდ, გარკვეულ ტერიტორიაზე.

ირანელმა მკვლევარებმა უკვე დაიწყეს მუშაობა ამ საკითხზე.

„დავიღალეთ სიუჟეტების მოსმენით ადამიანიების დახრჩობის შესახებ"... - ასეთია გამოკითხული ხალხის აზრი. მეცნიერებმა გადაწყვიტეს განევითარებინათ სამაშველო ტექნიკა. ამ რობოტს შეუძლია უფრო მეტი რამ, ვიდრე სამაშველო სამსახურის მოწყობილობებს: სწრაფად გადაადგილდება, ყოველთვის მშვიდი და აუღელვებელია, არასოდეს სძინავს და ყოველთვის სამუშაო რეჟიმშია.

ირანში, ადამიანების წყალში დახრჩობის ფაქტი ძალიან ხშირია. რობოტი, რომელიც დაეხმარება მაშველებს, სწრაფად აიღებს დაზარალებულისკენ კურსს და სწრაფადვე მივა მასთან. იგი აღჭურვილი იქნება ყველაზე განვითარებული ნავიგაციის სისტემით. რობოტს ასევე შეეძლება წყალზე გაჩერება და დაზარალებულს მიაწოდებს სამაშველო რგოლს. იგი დაზარალებულთან დარჩება, სანამ სამაშველო კატერი არ აღმოუჩენს დახმარებას.

რობოტი-მაშველი ირანის სამომავლო გეგმაა და აუცილებელია თანამედროვე ცხოვრებაში. ეს იქნება ყველაზე პოპულარული მაშველი!

წყარო: www.teqnologia.wordpress.com

მეხანძრე და ოფიციანტი

ტიმ იანგი და ტომ ჰულინგსი ნიუ ჯერსის მეხანძრეები არიან, მათთვის პროფესია ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ სამსახური...

ერთ დღეს, 12 საათიანი დამღლელი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, მეგობრები კაფეში შევიდნენ სასადილოდ და ყავის დასალევად. ოფიციანტი, ლიზ ვუდვარდი თან ემსახურებოდა მეხანძრეებს, თან მათ საუბარს ისმენდა, როგორ საშინელ ხანძართან მოუწიათ იმ დღეს ბრძოლა, როგორი მძიმე და დამღლელი დღე ჰქონდათ... როდესაც ტიმმა და პოლმა ანგარიში მოითხოვეს, ისინი გაოცებულები დარჩნენ... ანგარიშის ფურცელზე ასეთი რამ ეწერა:

„მადლობა!

დღეს მე გეპატიჟებით საუზმეზე და თან უდიდეს მადლობას გიხდით ყველაფრისთვის, რასაც თქვენ აკეთებთ! იმისთვის, რომ დაუფიქრებლად იბრძვით სხვების სიცოცხლის გადასარჩენად იმ ადგილებში, საიდანაც სხვა ყველა შეშინებული გარბის... თქვენ ხართ ძლიერი, მამაცი ადამიანები და მადლობა, რომ მაგალითი ხართ ყველასთვის!

ლიზი“

ტიმს და პოლს თვალები სიხარულის ცრემლით აევსოთ, მადლობა გადაუხადეს კეთილ გოგონას ამ სიტყვებისთვის და წავიდნენ.

მოგვიანებით კი ტიმმა Facebook-ზე ასეთი რამ დაპოსტა:

„სიკეთისა და უანგარობის ფაქტი... მეგობრებო, მოგიწოდებთ, ყველა ეწვიოთ ამ კაფეს და ხელი შეუწყოთ ამ შესანიშნავი ადამიანების ბიზნესის განვითარებას. თუ ისე მოხდება, რომ ლიზი მოგემსახურებათ, არ დაგავიწყდეთ ბევრი „ჩაის“ დატოვება!“

ეს ისტორია აქ არ დასრულებულა! მეხანძრეებმა შეიტყვეს, რომ ლიზის მამა, სტივი, უკვე 5 წელია პარალიზებულია. მას ინვალიდის სავარძელი ესაჭიროება,

რაც 17 000 დოლარამდე ღირს, ოჯახს კი ამის საშუალება არ გააჩნია. ლიზიმ სპეციალური გვერდიც შექმნა, სადაც ადამიანებს სთხოვდა შეძლებისდაგვარად დახმარებოდნენ შემოწირულობების სახით.

ტიმმა საკუთარ მეგობრებს მოუწოდა, დახმარებოდნენ გოგონას: **„ლიზის, რომელიც უფასო სადილით გაგვიმასპინძლდა, ნამდვილად სჭირდება ჩვენი დახმარება...“**

რამდენიმე დღეში 70 000 დოლარზე მეტი შეგროვდა.

-„მე მხოლოდ მათი საუზმის ხარჯი ავანაზღაურე, ღიმილის მეტს არაფერს ველოდი მათგან“ - აღნიშნა გახარებულმა ლიზიმ.

ეს ამბავი კი, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ერთმა მცირედმა ჟესტმაც კი შესაძლოა მთელი თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს და გაცემული სიკეთე უკან ათმაგად დაგიბრუნდეთ.

წყარო: www.hefty.co





პატარა გმირები

ნათან ტომპსონი, 9 წლის



ბავშმა სახის არეში ჭრილობა მას შემდეგ მიიღო, რაც დანით შეიარაღებული ნარკომანისგან დედის გადარჩენა სცადა. ნატანი ზურგზე შემოახტა ჰიუ კლარკს, რომელიც მისი დედის მოკვლას ცდილობდა. კლარკმა ბავშვს სახეში დანა ჩაარტყა. შეშინებულმა ბავშვმა მაინც მოახერხა სახლიდან გამოქცევა და დახმარება მეზობლებს სთხოვა. ნატანის დედას 8 ჭრილობა აღენიშნებოდა, მაგრამ საბედნიეროდ გადარჩა.

პატარა ვაჟის გმირობამ დედას სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ალექსის გუდინსი, 7 წლის

დეტროიტის შტატის ქალაქ კემბელის სკოლის მოსწავლე, პირველკლასელი ალექსისი, საკუთარი დედის მფარველ ანგელოზად აღიარეს. 30 წლის სალეტა პარკერი ალექსისთან ერთად მანქანაში იმყოფებოდა, როცა გაცოფებულმა მეგობარმა მამაკაცმა მისი მოკვლა განიზრახა. შეიარაღებულმა კაცმა სალეტას მიმართულებით სროლა ატეხა, ქალი თავისა და ხელის არეში დაიჭრა, ბავშვი დედას გადაეფარა და მისთვის გამიზნული 6 ტყვია მოხვდა.ალექსისი თვალების, ნიკაპის, საფეთქლის, გულმკერდის არეში დაიჭრა. სასწაულია, მაგრამ გოგონა გადარჩა. დამნაშავე დაჭერილია და მას მრავალწლიანი პატიმრობა ემუქრება.

კამალ ნეპალი, 12 წლის

მამაცმა ბიჭუნამ კლდის ნაპრალში 20 მ. სიღრმეზე ჩავარდნილი 2 წლის გოგონა გადაარჩინა. მაშველები 22 საათის განმავლობაში, უშედეგოდ ცდილობდნენ ბავშვის ამოყვანას. კამალმა უფროსი ძმისგან გაიგო, რომ მათი დაიკოსავით პატარა გოგონა განსაცდელში იყო ჩავარდნილი. კამალმა მაშველებს დახმარება შესთავაზა. ბნელოდა, ბიჭი ნაპრალში თოკმობმული ჩაუშვეს, 20 წუთი ფსკერამდე დაშვებას დასჭირდა, 15 წუთში კი ორივე ბავშვი ზედაპირზე ამოიყვანეს.

პატარა მაშველმა ნახევარ საათში იხსნა 2 წლის გოგონას სიცოცხლე.

იზაბელ კილინგი, 2 წლის

იზაბელის დედამ, ჯოანამ, წამლის მიღების შემდეგ თავი შეუძლოდ იგრძნო და მალევე შოკური მდგომარეობა განუვითარდა. გონების დაკარგვამდე რამდენიმე წამით ადრე, მან გოგონას სთხოვა 911-ზე დაერეკა. ბავშვმა შეძლო დამოუკიდებლად დარეკვა, ოპერატორს დაუსახელა სახელი, გვარი, მისამართი, სასწრაფოც დროულად მივიდა მისამართზე და ქალი გადარჩა. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს იზაბელმა უყურა საბავშვო გადაცემას, სადაც აჩვენებდნენ, როგორ უნდა გამოიძახოთ დახმარება და დარეკოთ 911-ზე. ასე რომ, ტელევიზორის ყურება ყოველთვის ცუდი არ არის. მეტიც, ხანდახან ამას სარგებლობაც მოაქვს.

წყარო: www.fresher.ru

პანიკა რადიოსპექტაკლის გამო

XX საუკუნის 30-იან წლებში, რადიო ახალი ამბების მიღების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა ფართო საზოგადოებისთვის. ადამიანები სარწმუნო ინფორმაციას სწორედ მისი საშუალებით ისმენდნენ. სწორედ ამიტომ, 1938 წლის 30 ოქტომბრის აუდიოსპექტაკლმა (მერკურის თეატრის დადგმა) პანიკა გამოიწვია მოსახლეობაში და ყველამ დაიჯერა, რომ დედამიწას მარსიანელები დაესხნენ თავს. სპექტაკლის შინაარსის მიხედვით, მაუნტ ჯენინგის ობსერვატორიის პროფესორმა ფარელმა, მარსზე აფეთქებები და კოსმოსური ხომალდები შენიშნა, რომლებიც დედამიწისკენ მოემართებოდნენ ჩვენი ცივილიზაციის განადგურების მიზნით. მილიონობით რადიომსმენელმა დაუჯერა აღნიშნულ ინფორმაციას. გულგახეთქილი მაცხოვრებლები ისტერიულად რეკავდნენ გადაუდებელი დახმარების სამსახურში, გზებზე საცობები შეიქმნა, ყველა ცდილობდა გაქცეულიყო და თავისთვის ეშველა. ხალხი პოლიციას ქიმიური იარაღისგან დაცვის საშუალებებს თხოვდა, რადგან უცხოპლანეტელების მხრიდან მომწამვლელი გაზით შეტევის ეშინოდათ. ერთი ქალბატონი ინდიანოპოლისის ეკლესიაში შუა წირვის დროს ყვირილით შევარდა: „ნიუ-იორკი განადგურებულია, ეს ქვეყნის აღსასრულია! წადით სახლში და მოემზადეთ სიკვდილისთვის!“

დადგმის ავტორი, შემდგომში ცნობილი კინორეჟისორი, ორსონ უელსი გახლდათ. იგი დაუყოვნებლივ გამოვიდა ეთერით და ხალხს აუხსნა, რომ ეს მხოლოდ-დამხოლოდ სპექტაკლი იყო... უელსი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე ამის შემდგომ მას წარმატებულ კარიერაზე აღარც კი უნდა ეოცნება, თუმცა სკანდალმა პირიქით, ხელი შეუწყო მის პოპულარობას. მალე კონტრაქტიც გააფორმა ჰოლივუდის სტუდია „RKO Pictures"-თან, სადაც 1941 წელს გადაიღო XX საუკუნის საუკეთესო ამერიკული ფილმად აღიარებული კინოსურათი - „მოქალაქე კეინი“.

წყარო: www.publy.ru

ხელის ორიგინალურმა თხოვნამ ქალაქში ჰანიჯა გამოიწვია

2008 წლის მაისში, გერმანიის ქ.პლატლინგის გადაუდებელი დახმარების ცენტრში უამრავი შეტყობინება შევიდა ქალაქის მაცხოვრებლებისგან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ზეცა მფრინავმა თეფშებმა დაფარეს და Zeta Reticuli-ის სისტემიდან მოსულ უცხოპლანეტელებს დედამიწის დაპყრობა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

იყო ეს სამყაროთა ბრძოლა? ან იქნებ ქვეყნის დასასრული? როგორც მოგვიანებით გაირკვა განგაში ტყუილად ატყდა... მასობრივი ისტერიის მიზეზი 29 წლის ბიჭის მიერ თავისი რჩეულისთვის გულისა და ხელის ფრიად უჩვეულო ფორმით შეთავაზება გახლდათ. სასიძომ ჰაერში 50-ზე მეტი ქაღალდის ფრანი გაუშვა, ფრანებში კი ანთებული სანთლები იყო მოთავსებული და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ რჩეულისგან სანუკვარი „თანახმა ვარ“ მოესმინა.

წყვილს მდინარე „იზარის“ ნაპირზე მიაგნეს. იმის მიუხედავად, რომ რომანტიკოსმა შეყვარებულებმა მასობრივი ისტერია და არეულობა გამოიწვიეს მშობლიურ ქალაქში, წყვილი არ დაუჯარიმებიათ, გოგონამ კი თანხმობა განაცხადა.

წყარო: www.publy.ru/

რეალითი შოუმ ჰანიჯა გამოიწვია

დღევანდელი კინოხელოვნება მდიდარია სხვადასხვა სპეცეფექტებით და ეს ყველაფერი ძალიან რეალისტურად გამოიყურება ციფრული ტექნოლოგიების წყალობით, თუმცა ტრიუკების ხელოვნება ჯერ ისევ აქტუალურია. სწორედ კარგად განხორციელებული ტრიუკი გახდა პანიკის მიზეზი 2015 წლის მაისში, ფლორიდის შტატის ქალაქ მანტანაში, სადაც პალმ ბიჩის სანაპირო დაცვამ ათეულობით შეტყობინება მიიღო სანაპიროსთან ახლოს თვითმფრინავის წყალში ჩავარდნის შესახებ.

ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ ეს იყო რეპერი ვანილა აისის მიერ მოწყობილი რეალითი შოუ. თვითმფრინავი ძალიან დაბლა დაეშვა და ბოლოს მშვიდობიანად დაჯდა ხმელეთზე, თუმცა შოუს ორგანიზატორებს მაინც შეექმნათ პრობლემები პოლიციასთან, რადგან მათ წინასწარ არ შეატყობინეს ადგილობრივ მმართველობას შოუს დეტალების შესახებ, შედეგად კი 911-ზე ზარების რეკორდული რაოდენობა შევიდა.

ვანილა აისს აზრადაც არ მოსვლია, რომ მისი შოუ რაიმე პრობლემებს გამოიწვევდა: „ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ექსტრემალური ფრენა თვითმფრინავით, შესანიშნავი საბაბი იყო დღესასწაულისთვის, თანაც სხვა საიდან შეიძლება დატკბეთ პალმ ბიჩის ულამაზესი ხედით, თუ არა ჰაერიდან?“ - ყოველგვარი აღშფოთებისა და ნერვიულობის გარეშე განაცხადა მომღერალმა.

წყარო: www.publy.ru



CULTURE CLUB-ის მომღერალმა 911-ზე დარეკა

80-იანი წლების პოპ-ვარსკვლავი ბოი-ჯორჯი დიდი ხანია ფსიქოტროპული პრეპარატების მომხმარებელია. 20 წლიანი თითქოსდა შედეგიანი მკურნალობის შემდეგ Culture Club-ის მომღერალმა 911-ზე დარეკა და განაცხადა, რომ მის ბინაში ნიუ-იორკში ვიღაც შეიპარა. ადგილზე მისულმა პოლიციამ კომპიუტერთან და მთლიანად ოთახში მიმოფანტული დიდი რაოდენობით კოკაინი აღმოაჩინა. ჯორჯი კოკაინის შენახვასა და 911-ის ცრუ გამოძახებაში დაადანაშაულეს, შრომაგასწორებითი სამუშაოც მიუსაჯეს და კლინიკაშიც გაამგზავრეს რეაბილიტაციისთვის.

წყარო: www.publy.ru

პენსილვანიელმა კაცმა 911-ში კონდიციონერის შეკეთებასთან დაკავშირებით დარეკა

ინდიანა, პენსილვანიის შტატის პოლიციელი ყვება, რომ პენსილვანიელმა კაცმა არამიზნობრივი ზარები განახორციელა 911-ზე და მოიმიზეზა ტკივილი გულმკერდის არეში, რეალურად კი მან გადაწყვიტა, რომ მედიკოსები კონდიციონერის შეკეთებაში დაეხმარებოდნენ.

26 წლის ტრევის ტურნერს, ბრალად წარედგინა გადაუდებელი დახმარების სამსახურის მუშაობისთვის ხელის შეშლა და ხულიგნობა.

პოლიციელი ამბობს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ტურნერმა 63-ჯერ დაურეკა ინდიანას 911-ის დისპეტჩერს უმნიშვნელო და შემაწუხებელი საჩივრებით.

ტურნერი თავდაპირველდ დააჯარიმეს, მოგვიანებით, მას მოუხსნეს ჯარიმა და გააფრთხილეს, რომ შეეწყვიტა არამიზნობრივი ზარების განხორციელება 911-ზე.

მიუხედავად გაფრთხილებისა, მან კვლავ დარეკა 911-ში. როდესაც სასწრაფო დახმარების ბრიგადა ადგილზე მივიდა, ტურნერმა მათ უთხრა, რომ არ ესაჭიროება სამედიცინო დახმარება, უბრალოდ უნდოდა, რომ კონდიციონერის შეკეთებაში დახმარებოდნენ.

საბოლოოდ, ტურნერის ტელეფონის ნომერი დაბლოკეს და შეუწყვიტეს 911-თან დაკავშირების შესაძლებლობა.

წყარო: www.abc7ny.com

მამამ ტატუ გაიკეთა, რათა მის სმენადაქვეითებულ გოგონას თავი განსხვავებულად არ ეგრძნო

ახალ ზელანდიაში სმენადაქვეითებული გოგონას მამამ, ალისტერ კემპბელმა, გადაწყვიტა შვილს მხარში ამოდგომოდა, რათა მას კოხლეარული იმპლანტის გამო თავი განსხვავებულად და დაჩაგრულად არ ეგრძნო.

მამამ თავზე ტატუ გაიკეთა, რომელზეც კოხლეარული იმპლანტანტი იყო გამოსახული.

„45 წუთიანი ტატუს გაკეთების პროცესი იყო მტკივნეული, მაგრამ არაფერი ისეთი, რასაც ვერ გავუმკლავდებოდი, ვაპირებ თმა კვლავ გავიზარდო და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და შვილის თხოვნით გადავიპარსო ხოლმე.“ - განაცხადა ალისტერ კემპბელმა.

გოგონას სმენასთან დაკავშირებული პრობლემები მემკვიდრეობითია. მის ბებიას და ძმას იგივე დიაგნოზი აქვთ. კოხლეარული იმპლანტის დამაგრება ქირურგიული გზით ხდება. ხელსაწყო სმენადაქვეითებულ ადამიანებს ხმის აღქმის საშულებას აძლევს.

წყარო: http://goodnews.on.ge/

ბრაზილიური სატელეფონო ჯიხურები „Orelhão”

1970-იან წლებში, Chu Ming Silveira-ამ შექმნა ახალი ტიპის ბრაზილიური სატელეფონო ჯიხურები, სახელწოდებით – Orelhão.

თითოეული ჯიხურის სიმაღლე ქალაქის მოსახლეობის საშუალო სიმაღლის იყო. თითქმის ყველა ტელეფონი განთავსებული იყო საკმაოდ ხმაურიან ადგილებში, იმისათვის რომ გაუმჯობესებულიყო ხმაურის იზოლაცია.

სილვეირამ (შილვეირა) შექმნა კვერცხის ფორმის ჩარჩო-კორპუსი. ჯიხურების წარმოებისათვის გამოყენებულ იქნა მინის ბოჭკოვანა, ძალიან იაფი მასალა, რომელიც მდგრადია მზეში და ასევე წვიმაშიც. პირველი სატელეფონო ჯიხურები დამონტაჟდა 1972 წელს რიოში და სან პაულოში.

ახლა კი ამ მოწყობილობით სარგებლობა შესაძლებელია მთელ ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში, ჩინეთში და სხვადასხვა ქვეყანაში. ხშირად ჯიხურები წარმოდგენილია სხვადასხვა ცხოველების, თევზების, ყვავილების და სხვადასხვა უცნაური ნივთების ფორმითაც.

წინასწარმეტყველი ცხოველები

ალბათ ხშირად გსმენიათ, როგორ გადაარჩინა ცხოველმა ადამიანი თავისი წინასწარმეტყველური მინიშნებებით.

დღემდე შემორჩენილია ძველი ცნობები, რომლებიც ცხოველების წინასწარმეტყველურ უნარს აღწერენ. კლავდიუს ელიანს (ძველი ბერძენი ფილოსოფოსი) თავის ნაშრომებში საუბარი აქვს ცხოველების განსაკუთრებულ წინასწარმეტყველურ ნიჭზე. ფილოსოფოსს აღწერილი აქვს ჩვ.წ.აღ.-მდე 373 წელს მომხდარი ბუნებრივი კატასტროფა, როდესაც უეცრად ქალაქს ცუნამმა გადაუარა. სტიქიამ ქალაქი მიწასთან გაასწორა. ამ უბედური შემთხვევის გამო 10 გემი ჩაიძირა. საოცარი ის იყო, რომ ამ საშინელ მოვლენამდე სულ ცოტა ხნით ადრე ყველა ცხოველმა დატოვა ქალაქი და ალბათ ბევრი ადამიანიც გადარჩებოდა, ცხოველების მასიური გაქრობისთვის, რომ მიექციათ ყურადღება.

ასეც მოხდა იაპონიის ქალაქ ხაიჩენში, აქ მოსახლეობას არ გამოპარვია ფრინველების მასობრივი გაფრენა ქალაქიდან. ადგილობრივმა მთავრობამ ხალხის ევაკუაცია მოახდინა. სულ ცოტა ხანში კი საშინელი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც 1300 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ ამ საზარელ ნგრევას 150 ათაზე მეტი ადამიანი გადაურჩა, რაც სწორედ ფრინველების დამსახურება გახლდათ.

რამდენიმე წლის წინ რვაფეხამ, სახელად პაული, წინასწარმეტყველური უნარით გაითქვა სახელი. ის ცნობილი იყო, როგორც ფეხბურთის თამაშების ანგარიშის წინასწარ გამომცნობი ექსტრასენსი. მისდამი ინტერესი გამოხატეს ფეხბურთის მოყვარულებმა მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რადგან მან რამდენიმე თამაშის შედეგი წინასწარ გამოიცნო.

როგორც ექსტრასენსი, მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე ის მხოლოდ ერთხელ შეცდა და ლამის ეს მარცხი სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა. პაულმა შეცდომით იწინასწარმეტყველა გერმანიის ნაკრების გამარჯვება. გერმანიის ნაკრების გაბრაზებულმა გულშემატკივრებმა მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვეს.

ამბობენ, რომ სპორტული შეჯიბრებების დროს გამაჯვების სტატისტიკას გასაოცარი შედეგებით წინასწარმეტყველებდა ობობა სახელად პოლი. მან 22 თამაშიდან 20 გამაჯვება ზუსტად გამოიცნო.

2014 წელს სოჭის ოლიმპიური თამაშების წინასწარმეტყველება თახვებს - გარის და ეშლის - მიანდეს, მაგრამ მათ მხოლოდ შედეგების 50% გამოიცნეს. თუმცა, ალბათ უახლოეს მომავალში, მათაც აქვთ პოტენციალი ამ მხრივ წარმატებას მიაღწიონ და მსოფლიოში სახელი გაითქვან, როგორც ცნობილმა წინასწარმეტყველმა თახვებმა.

შეიძლება ზოგიერთს სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ აშშ-ში მომავალი პრეზიდენტის ბედი ერთ ციყვზე იყო დამოკიდებული. ეს ფუმფულა არსება ირჩევდა თხილს, რომელიც თითო-თითოდ ეწყო პრეზიდენტობის კანდიდატების ფოტოებთან. რომელ სურათთან მდებარე

თხილსაც ციყვი აირჩევდა, სწორედ ის კანდიდატი იმარჯვებდა არჩევნებში, მხოლოდ ერთადერთხელ, 2012 წელს არ გამართლდა მისი წინასწარმეტყველება.



თუ ოჯახში გყავთ კატა, თქვენ მუდამ გეცოდინებათ, როდის უნდა ველოდოთ ყინვებს. ამინდის ცვლილებები და კატის ქცევები პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. როცა ყინვებია მოსალოდნელი, კატა ცხვირზე თათებს იფარებს .

წინაწარი შეგრძნებებით, თუ ყნოსვის გაძლიერებული უნარით ასევე უამრავი სარგებელი მოაქვთ ცხოველებს, რომლებიც არ არიან სხვა „ექსტრასენსი“ ცხოველებივით საქვეყნოდ ცნობილები. მათ შორის არიან გაწვრთნილი ძაღლები, რომლებსაც არაერთი კრიმინალური საქმე გაუხსნიათ. ასევე შინაური ცხოველები, რომლებსაც წინასწარ უგრძვნიათ მოსალოდნელი საფრთხე, ან კატასტროფა და გადაურჩენიათ პატრონი.

წყარო: http://www.zooclub.ge/

შსს სსიპ – 112

ვაშლიჯვრისა და ნუსუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

www.112.ge

pr@112.ge